**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2026 წლის 17 აპრილის**
**რიგგარეშე სხდომის**
**ოქმი № 6**

ქ. თერჯოლა 17 აპრილი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ომარ ჯიხვაშვილი, 14. თემური ქოჩიაშვილი, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, 20. ელისო მურადაშვილი, 21. გიორგი თურქაძე, 22. იუზა უგრეხელიძე , 23. მამული კოვზირიძე, 24. გიორგი ყაზაიშვილი, 25. შალვა ჭანკვეტაძე, 26. გიორგი ქასრაშვილი, 27. რამაზი ლორთქიფანიძე, 28. მირზა აფრიდონიძე, 29. მანუჩარ ფანჩულიძე, 30. გიორგი ბერეკაშვილი, 31. ნოდარი ხოხიაშვილი, 32. გრიგოლ გიორგაძე, 33. ვლადიმერ მაკარიძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1.ლაშა გურგენიძე, 2. გიორგი ბრეგაძე.

**საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი**
**საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი**
**დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 33 წევრი**
**კვორუმი: 18 წევრი**

**სხდომას ესწრებოდნენ:**
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - მირზა ქოჩიაშვილი;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - არჩილ ქოჩიაშვილი;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - ნათია სახეჩიძე.

**სხდომა დაიწყო $12^{00}$ სთ-ზე.**
**სხდომა დამთავრდა - $12^{50}$სთ-ზე.**

***საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.***

თერჯოლასა (ს.კ. 33.09.42.398) და ქვედა სიმონეთში (33.05.37.589), აღნიშნული ქონების პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება სასამართლო ექსპერტიზის მიერ განსაზღვრული თანხით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე-32, წინააღმდეგი-1

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №გ-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.2926107001, 17/04/2026 წ.).

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილების მეოთხე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფორმულა შეიცვალა, დაზუსტდა, დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა 1მ$^3$ 25 ლარის ნაცვლად - 16 ლარი. ამ ცვლილების შესაბამისად შეიცვალა ცხრილში აღნიშნული განაკვეთებიც.

**აზრი გამოთქვეს:** ნინო მახათაძემ, დავით გოგბერაშვილმა სერგი ჯიხვაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 32, წინააღმდეგი - 1

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი( დადგენილება №48, 17/04/2026 წ.).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი -

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების მე-$10^2$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
დადგენილებით გათვალისწინებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოზიცია“ იცვლება „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-საინფორმაციო საკითხებში“ პოზიციით, რომლის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია ამავე დებულებით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 33, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №47, 17/04/2026 წ.).

3.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი( დადგენილება №46, 17/04/2026 წ.).

*სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 17 აპრილის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე